# აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის გამგეობა

## გამგებლის ბრძანება №2-132

2015 წლის სექტემბერი

ქ. თბილისი

**აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის მიზნით უპირობო ელექტრონული აუქციონის გამოცხადების შესახებ**

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტისა და ,,აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 მარტის №11 დადგენილებით დამტკიცებული ,,აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის“ შესაბამისად,

## ვბრძანებ:

1. ბიჯის ოდენობა განისაზღვროს ორივე ლოტის შესაბამისად- 105(ასხუთი) და 135 (ასოცდათხუთმეტი) ლარით.
2. „ბე“ს ოდენობა გამოცხადეს 200(ლარით).
3. აუქციონში მონაწილეობის ბილეთის ფასი განისაზღვროს 50(ორმოცდაათი) ლარით.
4. ბრძანება ძალაში შევიდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

გამგებელი ლაშა მარგიანი